საქართველოს მთავრობის განკარგულება

№125 2016 წლის 2 თებერვალი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სეზონური და ფრინველის გრიპის შემთხვევათა მკურნალობისა და გავრცელების კონტროლისათვის საჭირო ანტივირუსული მედიკამენტის – „ოსელტამივირის“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სოციალური მომსახურების სააგენტომ „2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილებით დამტკიცებული „რეფერალური მომსახურების“ პროგრამის ფარგლებში (პროგრამული კოდი – 35 03 03 09) 2 000 (ორი ათასი) კოლოფი

„ოსელტამივირის“ შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი _____ გიორგი კვირიკაშვილი